ხელშეკრულება N80

სახელისუფლებო სპეციალური კავშირებით მოწყობის
შესახებ

ქ. თბილისი „15" ივლისი 2011 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო" (შემდგომში-"შემსრულებელი") მისი უფროსის მოადგილის ზაზა ლომიძის სახით, ერთის მხრივ,

და

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი (შემდგომში - „დამკვეთი") დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მერაბ კარანაძის სახით მეორეს მხრივ, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "შემსრულებელი" "დამკვეთის" საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის მიზნით ახორციელებს "დამკვეთისათვის" სახელისუფლებო სპეციალური კავშირების აპარატურის ინსტალაციას.

1.2. 1.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებას "შემსრულებელი", ახორციელებს „დამკვეთის" ხარჯებით.

1.3. 1.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობები მოიცავს „დამკვეთისათვის" "შემსრულებლის" მიერ გაწეული მომსახურებისას თავისი, სატრანზიტო, აგრეთვე "დამკვეთის" სარგებლობაში არსებული ქსელების, არხებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით "დამკვეთისათვის" საიმედო და ოპერატიული კავშირის უზრუნველყოფას, როგორც საქართველოს სატელეფონო ოპერატორებთან, ასევე საერთაშორისო სატელეფონო კავშირების განხორციელებისას, რაც ასახულია მხარეთა შორის *„სახელისუფლებო სპეციალური კავშირებით მომსახურების შესახებ"* გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

მუხლი 2. მომსახურების გაწევის წესი

2.1. „დამკვეთის", მიერ სპეცკავშირების მომსახურების ქსელში ჩართვის გადასახადის „შემსრულებლის" ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ შემსრულებელი რთავს დამკვეთს სპეცკავშირების სისტემის ქსელში და უწევს შესაბამის მომსახურებას.

2.2. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყველა ის მოწყობილობა, რომელიც "შემსრულებლის" მიერ დანართი N1 ის შესაბამისად გადაეცემა სარგებლობაში „დამკვეთს", გახდება "დამკვეთის" საკუთრება.

2.3. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყველა პრეტენზია დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან ,,აბონენტის" მიერ ,,შემსრულებლისათვის" წარდგენილი იქნება მხოლოდ წერილობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ,,შემსრულებელი" მის მიერ გაწეულ მომსახურებას განიხილავს, როგორც უნაკლოს.

მუხლი 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1021,18 (ათასოცდაერთი და 18) ლარს.

3.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება წინასწარ ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთ) საბანკო დღეში უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.3. ხელშეკრულების ფასი შეიცავს „შემსრულებლის" მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებანი

4.1. "შემსრულებელი" ვალდებულია:

4.1.1. მოახდინოს ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე ყველა საჭირო აპარატურისა და ტექნიკური საკითხების მოგვარება ხელშეკურლების ღირებულების გადახდიდან 5 სამუშაო დღეში.

4.1.2. აღმოფხვრას მის მიერ ჩატარებულ სამუშაოებში აღმოჩენილი ხარვეზები უმოკლეს ვადაში.

4.1.3. „შემსრულებლის" მიერ ჩატარებულ სამუშაოებში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაწეული ხარჯები დაეკისრება „შემსულებელს".

4.1.4. ოპერატიულად მოახდინოს სპეკავშირის განხორციელებისათვის აუცილებელი ქსელების, არხებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების დაზიანების აღმოფხვრა, გარდა მესამე პირების საკუთრებაში არსებული საშუალებებისა.

4.2. „დამკვეთი" ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს "შემსრულებლის" თანამშრომელთა შეუფერხებელი დაშვება იმ ობიექტებზე, სადაც უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების პირველი პუნქტით განსაზღვრული საგნის შესრულება;

4.2.2. მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ხელი შეუწყოს "შემსრულებელს" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;

4.2.3. ამ ხელშეკრულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესითა და პირობებით მოახდინოს ანგარიშსწორება „შემსრულებელთან";

4.2.4. შეუფერხებლად და უპირატესად გამოუყოს "შემსრულებელს" მის სარგებლობაში არსებული ქსელები, არხები და სპეკავშირის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ტექნიკური საშუალებები;

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდეგ მხარეთა შორის გაფორმდება შეთანხმება სახელისუფლებო სპეციალური კავშირებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების თაობაზე, რომლითაც ყოველთვიური ააბონენტო გადასახადი განისაზღვრება 70,80 ლარით.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, დაზარალებული მხარე უფლებამოსილია ზიანის მიმყენებელს ზიანთან ერთად მოსთხოვოს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის საურავი გადაუხდელი თანხის ან შეუსრულებელი ვალდებულების 0,01 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-სა

5.2. "შემსრულებელი" საკუთარი ხარჯებითაა პასუხისმგებელი სპეკავშირის განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობების დაზიანებაზე იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ასეთი დაზიანება არ არის გამოწვეული "დამკვეთის" მიზეზით.

მუხლი 6. ფორსმაჟორული გარემოებები

6.1. ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია საყოველთაოდ აღიარებული ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო.

6.2. მხარე, რომლისთვისაც შეიქმნა ფორს-მაჟორული გარემოება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ზემოაღნიშნული გარემოებების წარმოშობის, სახის და მოქმედების შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომა დასტურდება შესაბამისი ორგანოს მიერ.

მუხლი 7. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

7.1. „შემსრულებელი" ვალდებულია წარმოადგინოს თანმხლები დოკუმენტაცია, მათ შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი.

7.2. „დამკვეთს" (უფლებამოსილ პირს) უფლება აქვს აღმოჩენილ, უხარისხოდ ან არასრულად შესრულებულ სამუშაოზე „შემსრულებელს" წარუდგინოს დასაბუთებული რეკლამაცია და არ ჩაიბაროს იგი.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადება

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა შორის ვალდებულებების სრულ შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვისა.

8.2. ხელშეკრულების გაუქმება დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულებაში დამატებებისა და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით.

8.3. მხარეთა შორის სადავო საკითხი წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს.

8.4. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვან შესრულებას ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8.5. ხელშეკრულება კონფიდენციალურია, მხარეები პასუხისმგებელი არიან მესამე პირისთვის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემაზე, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი:	დამკვეთი:
საჯარო სამართლის იურიდიული პირი «სახელმწიფო სპეციალური კავშირების სააგენტო»	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი
საქართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. 2	ბათუმი, მ.აბაშიძის 41
საბანკო ანგარიში: ს.ს. „ბაზის ბანკი"	საიდენტიფიკაციო კოდი 245428700
ბანკის კოდი: CBASGE22;	
ა/ა GE59 BS00 0000 0000 3340 42,	
საიდენტიფიკაციო კოდი 204429494.	
სააგენტოს უფროსის მოადგილე	თავმჯდომარის პირველი მოადგილე
_____ შ. ლომიძე	_____ მ. ჯარანაძე
ბ.ა.	ბ.ა.

დანართი N1

შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი

რიგითი N	აპარატურა		გაზომ.ერთ.	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)		საინვენტარო ნომერი	ლუქის ნომერი
	დასახელება	მნიშვნელობა			ერთეულზე	სულ		
1	GUSO4-ALIX	სპეციალური კავშირების სისტემის მაგისტრალური დახურვის ბლოკი	ცალი	1	423,86	423,86	AA11-000148	001270
2	სვიჩი FSD-804PS-EU	სვიჩი	ცალი	1	189,84	189,84	AA10-000180	001269
3	ტელეფონი 1889-G224BR 4624-D02 GEN2IPPHONE(BLACH)TELEFHONE	ტელეფონი	ცალი	1	171,2	171,2	AA05-000916	001271
4	სახარჯი მასალა	პაჩკორდი PP22-2M, GMB, FTP 2M	ცალი	1	1,77	1,77		
		8p/8cr,rj45jak (ჯვეი)	ცალი	10	0,09	0,90		
					ზედნადები ხარჯები (15 %):	78,65		
					დღგ (18%):	155,77		
					ჯამური თანხა:	1021,18		

შემსრულებელი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი «სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო»

სააგენტოს უფროსის მოადგილე

_____ ზ. ლომიძე

დამკვეთი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი

თავმჯდომარის პირველი მოადგილე

_____ მ. კარანაძე

3.3. ხელშეკრულების ფასი შეიცავს „შემსრულებლის" მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებანი

4.1. "შემსრულებელი" ვალდებულია:

4.1.1. მოახდინოს ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე ყველა საჭირო აპარატურისა და ტექნიკური საკითხების მოგვარება ხელშეკურლების ღირებულების გადახდიდან 5 სამუშაო დღეში.

4.1.2. აღმოფხვრას მის მიერ ჩატარებულ სამუშაოებში აღმოჩენილი ხარვეზები უმოკლეს ვადაში.

4.1.3. „შემსრულებლის" მიერ ჩატარებულ სამუშაოებში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაწეული ხარჯები დაეკისრება „შემსულებელს".

4.1.4. ოპერატიულად მოახდინოს სპეკავშირის განხორციელებისათვის აუცილებელი ქსელების, არხებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების დაზიანების აღმოფხვრა, გარდა მესამე პირების საკუთრებაში არსებული საშუალებებისა.

4.2. „დამკვეთი" ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს "შემსრულებლის" თანამშრომელთა შეუფერხებელი დაშვება იმ ობიექტებზე, სადაც უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების პირველი პუნქტით განსაზღვრული საგნის შესრულება;

4.2.2. მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ხელი შეუწყოს "შემსრულებელს" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;

4.2.3. ამ ხელშეკრულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესითა და პირობებით მოახდინოს ანგარიშსწორება „შემსრულებელთან";

4.2.4. შეუფერხებლად და უპირატესად გამოუყოს "შემსრულებელს" მის სარგებლობაში არსებული ქსელები, არხები და სპეკავშირის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ტექნიკური საშუალებები;

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდეგ მხარეთა შორის გაფორმდება შეთანხმება სახელისუფლებო სპეციალური კავშირებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების თაობაზე, რომლითაც ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი განისაზღვრება 70,80 ლარით.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, დაზარალებული მხარე უფლებამოსილია ზიანის მიმყენებელს ზიანთან ერთად მოსთხოვოს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის საურავი გადაუხდელი თანხის ან შეუსრულებელი ვალდებულების 0,01 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-სა

5.2. "შემსრულებელი" საკუთარი ხარჯებითაა პასუხისმგებელი სპეკავშირის განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობების დაზიანებაზე იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ასეთი დაზიანება არ არის გამოწვეული "დამკვეთის" მიზეზით.

მუხლი 6. ფორსმაჟორული გარემოებები

6.1. ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია საყოველთაოდ აღიარებული ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო.